FROM THE HISTORY OF THE VILLAGE OF TAKHTISDZIRI IN THE DVANI FRONI GORGE

დვანის ფრონის ხეობის სოფელ ტახტისძირის ისტორიიდან

MARIAM KOBERIDZE
Doctor of Philology, Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995577251275, maikoberidze@gmail.com ,
https://orcid.org/0000-0002-6604-1628

This scientific article presents the political and socio-economic history, geographical environment, ethnic composition and religious life of the village of Takhtisdziri, located near the occupation line in the Dvani Fron Gorge, spiritual and material cultural monuments, materials depicting life, Migration processes,toponyms, relationship with the Jerusalem Cross Monastery, and the etymology of the village.

The research is based on the analysis of historical documents, archaeological data, scientific literature, the press, and materials we have found in relation to modernity.

The name Takhtisdziri is associated with the steep hill rising above the village, which is called Takhtisgora, Takhtisseri.

According to materials published in the newspaper "Iveria", the owner of Dirbi and Takhtisdziri was Aznauri Dogladze, who was left childless and donated it to the king for the Jerusalem Monastery of the Cross. Documentarily, Dirbi was donated to Jerusalem by Simeon I in the 16th century. We learn this from a document dated July 3, 1588, issued by Simeon's wife, Nestan-Darejan. It is likely that the donation of the village of Takhtisdziri to the Jerusalem Monastery also took place during this period.

Takhtisdziri, as the property of the Church of the Holy Sepulchre in Jerusalem, is mentioned in the list of holy places and monastery estates of the East compiled in 1874, along with Dirb.

With the participation of employees of the S. Janashia Museum of Georgia, the Sh. Amiranashvili Museum of Georgian Art and the Kareli Museum of Local Lore, an archaeological expedition to Shida Kartli was conducted in the village of Takhtisdziri, on the Tsitelbegebi in 1996-1997. The expedition was led by I. Gagoshidze, members: N. Gogiberidze, I. Koridze, M. Jalabadze.

Three tombs excavated in the village of Takhtisdziri from different periods date back to the 4th-3rd centuries BC. The items found here are similar to those found in the tombs of Vani, Sairkh, and Itkhvis in Colchis. These tombs contain a significant amount of ancient Greek imports, including ceramics, glass, and metalwork. The burial of a coin for the deceased is also confirmed in the tomb. Georgia has always been a crossroads, where north and south, west and east met, and this circumstance was also reflected in the material from Takhtisdziri.

Keywords: Shida Kartli, Dvanis Frone, Takhtisdziri village, relationship with the Jerusalem Cross Monastery, archaeological excavations at Tsitelbegebi, Peter and Paul Cathedral, past, modernity.

მარიამ კობერიძე
ფილოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., №53, 1400,
საქართველო, +995577251275, maikoberidze@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-6604-1628

აბსტრაქტი.

წინამდებარე სამეცნიერო სტატიაში წარმოდგენილია დვანის ფრონის ხეობაში საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს არსებული სოფელ ტახტისძირის პოლიტიკური და

სოციალ-ეკონომიკური ისტორია, გეოგრაფიული გარემო, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და რელიგიური ყოფა, სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები, ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალები, მიგრაციული პროცესები, ტოპონიმები, ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან და სოფლის ეტიმოლოგია.

კვლევა ემყარება ისტორიული დოკუმენტების, არქეოლოგიური მონაცემების, სამეცნიერო ლიტერატურის, პრესისა და ჩვენ მიერ მოძიებული მასალების ანალიზსს თანამედროვეობასთან მიმართებაში.

ტახტისძირის სახელწოდება უკავშირდება სოფლის ზემოთ აღმართულ თავწაკვეთილ გორაკს, რომელსაც ტახტისგორა, ტახტისსერი ჰქვია.

გაზეთ ,,ივერიაში" დაბეჭდილი მასალების მიხედვით, დირბისა და ტახტისძირის მესაკუთრე იყო აზნაური დოღლაძე, რომელიც უძეოდ გადაგებულა და მეფეს ეს სოფლები შეუწირავს იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის. დოკუმენტურად დირბი იერუსალიმისათვის შეუწირავს სვიმონ I-ს XVI საუკუნეში. ამას ვგებულობთ სვიმონის მეუღლის, ნესტან-დარეჯანის მიერ გაცემული 1588 წლის 3 ივლისით დათარიღებული საბუთიდან. სავარაუდოა, სოფელ ტახტისძირის იერუსალიმის მონასტრისათვის შეწირვაც ამ პერიოდში უნდა მომხდარიყო.

ტახტისძირი, როგორც იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ეკლესიის საკუთრება, მოხსენიებულია 1874 წელს შედგენილ აღმოსავლეთის წმინდა ადგილებისა და მონასტრების მამულების სიაში დირბთან ერთად.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის, შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმისა და ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა მონაწილეობით 1996-1997 წლებში ჩატარდა შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია სოფელ ტახტისძირში, წითელბეგებზე, ფრონის მარცხენა მხარეს. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ი. გაგოშიძე, წევრები: ნ. გოგიბერიძე, ი. ქორიძე, მ. ჯალაბაძე.

სოფელ ტახტისძირში გათხრილი სამი სხვადასხვა დროის სამაროვანი თარიღდება ქ.წ. IV-III საუკუნით. აქ აღმოჩენილი ნივთები მსგავსია კოლხეთის - ვანის, საირხის და ითხვისის სამარხებში აღმოჩენილი მასალების. ამ სამარხებში მნიშვნელოვანი რაოდენობითაა აღმოჩენილი ძველი ბერძნული იმპორტი, როგორც კერამიკა, ისე მინისა და ლითონის ნაწარმიც. სამარხში დადასტურებულია მიცვალებულისათვის მონეტის ჩატანების ფაქტიც. საქართველო ყოველთვის იყო გზაჯვარედინი, სადაც ჩრდილოეთი და სამხრეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი ხვდებოდა ერთმანეთს და ტახტისძირის ნივთიერ მასალაშიც აისახა ეს გარემოება.

საკვანძო სიტყვები: შიდა ქართლი, დვანის ფრონე, სოფელი ტახტისძირი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან ურთიერთობა, არქეოლოგიური გათხრები წითელბეგებზე, პეტრე-პავლეს ტაძარი, წარსული, თანამედროვეობა.

შესავალი.

ფრონის ხეობა შედგება ოთხი მდინარისაგან: დვანის ფრონე ანუ დვანისწყალი, ფცის ფრონე ანუ ფცის წყალი, ალისფრონე ანუ ალისწყალი და სურამის ფრონე ანუ სურამის წყალი.

დვანის ფრონე პატარა და თხელი მდინარეა, მისი სათავე იწყება წორბისიდან ფრონის სახელწოდებით და ავნევში მას უერთდება მდინარე ტილიანა, დვანის ქვევით-საკვირიკის ხევა (ტილიანა) და დვანიდან ფრონეს თავისი შენაკადებით ეწოდება დვანის წყალი, რომელიც ერთვის მტკვარს ქარელთან. დვანის ფრონის ხეობაში სამი ტილიანაა: დვანის, ავნევის (წუნარის ხევიც ჰქვია)[1] და ყორნისის. ამავე სახელწოდების მდინარე

[1] ჯ. გვასალიას მოხსენებული აქვს ,,ავნევის წყალი" (გვასალია, 1889: 10).

გვხვდება ზემოაძვისში, ცედანში, სატივეში, ცოცხნარაში (ღლონტი, 1988: 70). სოფელსაც ჰქვია ამავე ხეობაში ტილიანა. მისი სახელწოდება „მტილიანი“ ბაღ-ბოსტნიან ადგილს ნიშნავს (რაც მიუთითებს მის გარშემო სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალ დონეზე)[2]. აქაური სოფლები განლაგებულია მდინარე ფრონის ნაპირას, მოსახლეობა შეჯგუფებულია, გვხვდება ნასოფლარებიც, ბევრი ახლად გაშენებული სოფელია. ამ სოფლების ნაწილი დღეს ოკუპირებულია, ნაწილი გამყოფი საზღვრის ახლოს მდებარეობს.

ფრონის ხეობის ისტორიული მნიშვნელობა განაპირობა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და სტრატეგიულმა მდგომარეობამ. ის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს აკავშირებდა სამიმოსვლო გზებით, რომლებიც შიდა ქართლიდან სურამის ქედით გადადიიოდნენ იმერეთში. დვანის ფრონის სამიმოსვლო გზები ცხინვალისკენ მოხერხებულ გზას წარმოადგენდა. მისი მნიშვნელობა სამომავლო ურთიერთობისათვისაც მნიშვნელოვანია.

დვანისწყლის ანუ დვანის ფრონის ხეობის ოდინდელ მნიშვნელობაზე მეტყველებს იქ აღმოჩენილ-შესწავლილი ძეგლების ჩამონათვალი: ნული, ქვასათალი, დვანის სამაროვანი, დედოფლის მინდორი, ბერიკლდეები, არადეთის ორგორა დედოფლის გორით, ტახტისძირის სამაროვნები (Куфтин, 1949: 31-35; მაკალათია, 1948; ჯაფარიძე, 1966: 12-27; გაგოშიძე, 1977: 72-83; გაგოშიძე, 1978: 62-77; Gagoshidze, 2001: 255-257).

ფრონის ხეობა ჩემთვის, როგორც სოფელ ტახტისძირის მკვიდრისათვის, ახლობელი და მშობლიურია. წლების განმავლობაში არაერთი მონოგრაფია და სამეცნიერო სტატია მივუძღვენი ამ ხეობის ისტორიის, ეთნოგრაფიის, კულტურისა და დიალექტურ-ფოლკლორული მასალების მოძიებასა და კვლევას. მნიშვნელონად მიგვაჩნია, ტახტისძირის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის ამსახველი მოვლენები, მოსახლეობის დინამიკა, რწმენა-წარმოდგენები, მატერიალური და სულიერი კულტურა, ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან შევისწავლოთ ქრონოლოგიურად ისტორიული დოკუმენტების, არქეოლოგიური მონაცემების, სამეცნიერო ლიტერატურის, მიგრაციული პროცესების, პრესისა და ჩვენ მიერ მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე თანამედროვეობასთან მიმართებაში (ხუციშვილი, 2007: 26- 32; მგალობლიშვილი, 1884 : 1-2; გუმცაძე, 1888: 1-2; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ისტორიის ძეგლთა აღწერილობა, 1990: 394; გაგოშიძე, 2020; Koberidze, 2020: 47-61 ...).

მეთოდი. სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია: აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე საკვლევი საკითხის ქრონოლოგიური შესწავლისათვის ასევე გამოყენებული იქნა: ინდუქცია, დედუქცია, სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზი. ისტორიული დოკუმენტების, სამეცნიერო ლიტერატურის, არქეოლოგიური მასალებისა და მოსახლეობის გარშემო არსებული ინფორმაციის შედარება-შეპირისპირებისა და კვლევის სისტემური ანალიზის საფუძველზე გამოტანილი იქნა შესაბამისი დასკვნები.

შედეგები. წინამდებარე სტატიაში ქრონოლოგიურად თანამედროვეობასთან მიმართებაში შესწავლილია დვანის ფრონის ხეობაში საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს არსებული სოფელ ტახტისძირის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ისტორია, გეოგრაფიული გარემო, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და რელიგიური ყოფა, სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები, ყოფა-ცხოვრების ამსახველი

[2] ადრე უნდა ყოფილიყო მტილიანა (აღ. ღლონტი, 1988 :70). მტილი -ბოსტანი (საბა, 1991: 524; ჩუბინაშვილი, 1961: 300; ვახუშტი, 1941: 29).

მასალები, მიგრაციული პროცესები, ტოპონიმები, ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან და სოფლის ეტიმოლოგია.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ტახტისძირის სახელწოდება უკავშირდება სოფლის ზემოთ აღმართულ თავწაკვეთილ გორაკს, რომელსაც ტახტისგორა, ტახტისსერი ჰქვია; დირბისა და ტახტისძირის მესაკუთრე იყო აზნაური დოღლაძე, რომელიც უძეოდ გადაგებულა და მეფეს ეს სოფლები შეუწირავს იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის; დოკუმენტურად დირბი იერუსალიმისათვის შეუწირავს სვიმონ I-ს XVI საუკუნეში. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ტახტისძირის იერუსალიმის მონასტრისათვის შეწირვაც ამ პერიოდში უნდა მომხდარიყო. ტახტისძირი, როგორც იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ეკლესიის საკუთრება, მოხსენიებულია 1874 წელს შედგენილ აღმოსავლეთის წმინდა ადგილებისა და მონასტრების მამულების სიაში დირბთან ერთად.

ტახტისძირის ტერიტორია ოდითაგანვე ყოფილა დასახლებული, ამას მოწმობს წითელზეგებზე ჩატარებული გათხრების დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები, რომელიც თარიღდება ქ.წ. IV-III საუკუნით. ბერძნული იმპორტის ნაშთები ასახავს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის მომენტებს.

დისკუსია.

ტახტისძირი მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტში (დვანის თემში). სოფლის განლაგების ადგილია შიდა ქართლის ვაკე, მდინარე ფრონის მარცხენა მხარე, ზღვის დონიდან 710 მეტრი, ქარელიდან თვრამეტი კილომეტრი.

ტახტისძირს ესაზღვრება ჩრდილოეთით სოფელი დვანი, აღმოსავლეთით- ყელქცეულისა და ქვემო ხვითის მიწები, სამხრეთით - გვირგვინა (გამყოფი საზღვარი აქ მდებარეობს), დასავლეთით - დირბი. ტახტისძირის მარჯვენა მხარეს მოსახერხეებელი სამანქანო გზაა, რომელიც აკავშირებდა საქართველოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს ცხინვალთან და ფრონის ხეობის სხვა სოფლებთან ასეთი მარშუტით: არადეთი, საღოლაშენი, წვერი, ბრეთი, დირბი, ტახტისძირი, დვანი, მუგუთი, დიდმუხა, ავნევი, წუნარი, ცხინვალი. ავნევიდან ფრონის მარჯვენა მხარეს გზა გადადიოდა ზნაურისაკენ (არკნეთი, უბიათი, ნული, ბეყმარი...). ტახტისძირიდან საფეხმავლო გზით გადადიოდნენ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულშიც (საქონლის ბაზრობაზე) : გვირგვინა- ძვილეთი- ცერონისი- სურამის ქედი-კორბოული.

2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 563 მოსახლე, კაცი-273, ქალი -290 (2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, 2003). 2014 წლის აღწერის მიხედვით სოფელში ცხოვრობს 458 ადამიანი, კაცი-218, ქალი - 240 (საქართველოს 2014 წლის აღწერის ძირითადი შედეგები, 2018). სოფელი საოკუპაციო საზღვრის პირაა. 2008 წლის ომის შემდეგ გახშირდა მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის, მიგრაცია დედაქალაქისაკენ.

სოფელში სახლობენ გვარებია: არბოლიშვილი, ბარამაშვილი, ბაციკაძე, ბეჟანიშვილი, ბერძნიშვილი, გამრეკელშვილი, გრძელიშვილი, თედიაშვილი, თუთარაშვილი თურმანიძე, ივანიშვილი, კობალაძე, კობერიძე, კულუმბეგაშვილი, ლაღოშვილი, მამაგულაშვილი, ნახუცრიშვილი, ნებიერიძე, სომხაძე, სოხაძე, სტეფნაძე, ქოთუაშვილი, ქოქოშვილი, ციცქიშვილი, წნორიაშვილი, ჭავჭავაძე, ხათაშვილი, ჯაფიაშვილი.

თუ დავაკვირდებით გვართა დინამიკას, განსხვავება შესამჩნევია ა. ღლონტის მიერ სოფელ ტახტისძირში დაფიქსირებულ გვარებთან მიმართებით (ღლონტი, 1988: 69-70).

ბეჟანიშვილი და მამაგულაშვილი გადმოვიდა დვანიდან, წნორიაშვილი-კახეთიდან[3]; კულუმბეგაშვილები[4] და ლაღოშვილები - სოფელ გვირგვინადან, სტეფნაძე, ხათაშვილი და ქოთუაშვილი-დირბიდან; ჭავაჭავაძე-ნულიდან. გვარი ბაციკაძე რაჭიდან ჩამოსახლებულა ერედვში, იქიდან ერთი ოჯახი ტახტისძირში გადმოსულა და გამრავლებულა. თვითონ ამ გვარის წარმომადგენლების მონათხრობით, ბაციკაცეების ნაწილი სხვა შტო -არჯევანიშვილები ყოფილან.

1715 წლის დავთარში ტახტისძირში მცხოვრები გვარებიდან დასტურდება: ბეყმარში მცხოვრები ნებიერიძე (5 ოჯახი)- ნებიერიძე ივანე, ნებიერიძე პაპუნა, ნებიერიძე მღვდელი ივანე, ნებიერიძე შემაზა; სოფელ თიღვაში მცხოვრები ივანეშვილი (ი-ე მონაცვლეობა: ივანიშვილი) (2 ოჯახი): ივანეშვილი მამუკა, ივანეშვილი ზაქარია; სოფელ თერეგვანში მოსახლე გრძელიშვილი (2 ოჯახი): გრძელიშვილი ივანე, გრძელიშვილი ბერი. ამავე დოკუმენტში გვხვდება გვარი კობერიძე (2 ოჯახი): სოფელი წორბისი - კობერიძე მამუკა; სოფელი ხრტანა -კობერიძე მამუკა (თაყაიშვილი, 1907: 25, 27, 33).

ტახტისძირში მცხოვრები კობერიძე ორი შტოა. ერთი ძირძველი მაცხოვრებელი, რომელიც შეძლებული იყო, გააკულაკეს ბოლშევიკებმა, ჩამოართვეს მიწის ნაკვეთები, საცხოვრებელ სახლში გაიხსნა სკოლა, ცხენების თავლაში-კლუბი. ოჯახმა ქონება მეოცე საუკუნის ბოლოს დაიბრუნა. მათ კუთვნილ მიწებზე დასახლდნენ სხვა გვარის წარმომადგენლები. ალექსი და დიმიტრი კობერიძეების შთამომავალი აღარ გაგრძელდა. კობერიძეების მეორე შტო - ორი ძმა ლადო და სიმონ კობერიძეები საცხოვრებლად გადმოვიდნენ მეოცე საუკუნის დასაწყისში სამაჩაბლოს სოფელ თამარაშნიდან. ამჟამად სოფელში მათი შთამომავლები ცხოვრობენ.

კობერიძე გვარის მაწარმოებლად ზ. ჭუმბურიძეს სიტყვა ბერი მიაჩნია, ისევე როგორც ძე და შვილი (ბერე ჭანურად ,,შვილს“, ,,ვაჟს“ ნიშნავს) (ჭუმბურიძე, 1987: 345). კობერი როგორც ტაძარი, მოიხსენიება 1292 წელს, რომელიც შეუკეთებია გიორგი ბერს. ,,კობერი და ამაუჭი მაშინ ქართველთ სოფელი იყო, აწ გასომხებულია“ (ჟორდანია, 1897: 168). ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ადასტურებს სოფელ ზემო - მარელის (უდე) გადასახადის გადამხდელ კომლთა ჩამონათვალში კომლებს: აბრამ კობერისძე, როსტევან კობერისძე (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 1941: 62). ი. ახუაშვილის მოსაზრებით, გვარი იქნებოდა კობირეკოიძე, ისევე როგორც გიორგბერე (გიორგიშვილი ბერე - ,,გიორგის ძე“, შდრ. გიორგაძე, გიორგისძე); ასევე გოგიბერე (გოგიძე, გოგიშვილი)... (ახუაშვილი, 2005: 466).

საყურადღებოა, მეცნიერთა მოსაზრებები კობერიძე გვარის მაწარმოებლად ბერი-ს გამოყოფის შესახებ. ვფიქრობთ, კო - პირსახელზე უნდა მიგვანიშნებდეს (შესაძლებელია ჩაგდებული იყოს ფონეტიკური პროცესის შედეგად რომელიმე ბგერა), ხოლო ბერი ძეს, გვარიშვილობას აღნიშნავდეს. საგულისმოა მოსაზრებაც, კობერიძეების სოფელ კობერადან (სამხრეთ საქართველო) წარმოშობის შესახებ (კობერიძე, 2024 ბ: 70). თუმცა საინტერესოა ზემოაჭარაში დადასტურებული ლექსიკური ერთეულიც: კობერა (ნაქუჩი). აქაც ბერა სიმინდის ტაროსთან მიმართებაში ნაწილს გამოხატავს (კობერიძე, 2011: 85).

კობერიძეები ცხოვრობენ რაჭაში: გუნდუში, ველევი, ზემო სხვავა, კვაცხუთი, კრიხი, ჩორდი, ცხმორი, წესი. ქართლში კობერიძეები ტახტისძირის გარდა, ცხოვრობენ: აგარა, ასურეთი, ბერბუკი, გორი, ზემო ნიქოზი, კნოლევი, ურბნისი, ფცა, ქარელი, ქვენატკოცა, ხაშური. ამ გვარის მიგრაცია რაჭიდან უნდა განხორციელებულიყო

[3] გვარი საცხოვრებლად ოცდამეერთე საუკუნეში გადმოვიდა.

[4] გვირგვინაში ცხოვრობენ კულუმბეგოვები. გვარი ტახტისძირში ჩამოვიდა საცხოვრებლად მეოცე საუკუნის დასაწყისში.

ქართლში. თუმცა არ გამოვრიცხავთ, წინაპრები სამხრეთ საქართველოდან იყვნენ გადმოსული რაჭაში და შემდეგ დასახლებულიყვნენ საქართველოს სხვა კუთხეებში.

ტახტისძირი არ არ არის ნახსენები 1715 წლის ,,რუისის სამწყსოს დავთარში“[5] (თაყაიშვილი 1907, 368-369), იოანე ბატონიშვილის ,,ქართლ - კახეთის აღწერაში“ (ბაგრატიონი 1980, 368), ვახუშტი ბატონიშვილის ,,საქართველოს გეოგრაფიაში“ (ბაგრატიონი 1941, 79, 81), 1728 წლის ,,თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (თბილისი ვილაიეთის დიდი დავთარი 2009, 280-341; კობერიძე 2014, 162-164; კობერიძე, 2015, 63-70).

ს. მაკალათია ტახტისძირთან ერთად ჩამოთვლის დღევანდელი დვანის ფრონის სხვა სოფლებსაც: საღოლაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დირბი, ტახტისძირი, გვირგვინა, დვანი, წკნელისი, ველები, მტილიანა, მუგუთი, დიდმუხა, ავნევი, წუნარი, ღვერთევი, ნული, თორმანეული, მალდა, არკნეთი, ბეყმარი, წორბნისი, რუსთავი, ტოლიბური, კიმასი, გიორგი წმინდა, სამწყარო, საჯვარე, ამბრეთი, ციხიათი, ღვიაგინა, ტბეთი, ველები, დოდეთი, ქვასათალა, ყორნისი (მაკალათია, 1963: 22). ამ სოფლების ნაწილი დღეს ოკუპირებულია, ნაწილი საზღვრისპირა სოფელია (კობერიძე 2024ა: 17-18).

სოფლის სახნავ-სათესი ადგილებია: ნიკას ღელე, ნაკედლარები, ნასახლარები, მელის სოროები (გორებია ამოთხრილი), ჯაფიანთ მიწები (მიუთითებს იმაზე, რომ გვარი უფრო დიდი ხანია ცხოვრობს), რუებს შორის ნაკვეთები, ღოღოლაანთ (ღოღოლა მეტ სახელია) მიწები, ღომელები (ღომს უკავშირდება), დოლა სერი, ძეძვიანა, ჩაკიდულა, ხოდაბუნები, თეთრობიაანი (თირიანი, თეთრი ქვებია), კურკოვანი, კურკამიწები, ორმოცდაორჰექტრიანი, ათჰექტრიანი (კობერიძე, 2020: 58-59).

ადგილის სახელწოდებებში საზღვრულად გამოყენებულია ,,წყარო“, ,,მორევი[6]“, ,,ღელე“, ხოლო მსაზღვრელად-პირსახელი, რაც კუთვნილებაზე მიგვანიშნებს: მიტოს წყარო, ლალეტას მორევი, ნიკას ღელე ... ტოპონიმთა ასეთი წარმოება დამახასიათებელია სალიტერატურო ენისა და ქართული ენის სხვა დიალექტებისათვისაც. ადგილის სახელწოდებებში არ გვხვდება სხვა ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები.

პეტრე-პავლეს ეკლესია-არქიტექტურული ძეგლი მდებარეობს სოფლის ცენტრში. თარიღდება XIX საუკუნით. ეკლესია დარბაზეულია (9,5 X 6,1). ნაგებია აგურითა და რიყის ქვით, გამოყენებულია ქვიშაქვის კვადრებიც. შესასვლელი სამხრეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთშია. სწორკუთხა საკურთხევლის გვერდზე თაღოვანი სარკმელია, ხოლო ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებში თითო სწორკუთხა ნიში[7].

---

[5] მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში რუისის სამწყსოს შეადგენდა მთელი ზემო ქართლი ანუ უმეტესი ნაწილი ძველი შიდა ქართლისა. ფრონის ხეობა, როგორც ზემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი, შედიოდა რუისის სამწყოში.

[6] მდინარის გარკვეული მონაკვეთი, ადგილი, სადაც წყალი ღრმაა და წრიულად ტრიალებს.

[7] ნიში -შეღრმავება შენობის ან ნაგებობის კედელში. იყენებენ ქანდაკების, ლარნაკის და სხვა რამის დასადგმელად ან განჯინის მოსაწყობად. აგრეთვე კედლის პლასტიკური დამუშავების მიზნითაც. ნიში ასევე არის შეღმავება სანგრებს შორის გასასვლელების კედელში. გამიზნულია ტყვიისა და ჭურვების ნანგრევებისაგან თავის დასაცავად (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1984: 453; ქადეიშვილი, 1984: 138).

დარბაზის გრძივი კედლები და ცილინდრული კამარა[8] პილასტრებითა და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღებით სამ ნაწილადაა დაყოფილი. კედლები შეთეთრებულია. დასავლეთ ფასადის ფრონტონის თავზე დაშენებულია აგურით ნაგები გუმბათიანი სამრეკლო, ხოლო დასავლეთ კედლის სიბრტყეში შეწეული ჯვარია გამოსახული. ეკლესიას ორფერდა სახურავი აქვს (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 1990: 394).

საქართველოში გავრცელებული დარბაზეული ეკლესია ეკლესია ერთნავიანია. ის არის დარბაზეული ეკლესიის ერთადერთი ტიპი, რომელიც არსებობდა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. სოფლის მცირე, მხატვრულად უმნიშვნელო სალოცავებთან ერთად ბევრი საყურადღებო ძეგლია: აკვანება, ოლთისი, ეხვევი, ხცისი, სავანე, მაღალაანთ ეკლესია, ქარზამეთი და სხვა (ბერიძე, 1978: 380).

კომუნისტებმა პეტრე-პავლეს ეკლესია კოლმეურნეობის საწყობად და ბეღლად აქციეს. მოსახლეობა ტაძრისადმი მიძღვნილ დღეობას - პეტრეპავლობას აღნიშნავს 12 ივლისს. ტაძარი მოქმედი გახდა მეოცე საუკუნის 90-იან წლებში. აქ სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ მოძღვრები: მონაზონი იოანე ოხანაშვილი, მამა შალვა, ნიფონტი ქევხიშვილი. დღეს ტაძრის მოძღვარია გიორგი ჩარხიშვილი. ტაძარს ჩაუტარდა რესტავრაცია, შემოავლეს გალავანიც.

მოსახლეობის გადმოცემით, სოფელთან დიდი გორაა. ტახტის სერი ჰქვია. თურმე იქ თამარ მეფის ტახტი დაუდგამთ. ამიტომ იმ ადგილს ტახტის სერი დაარქვეს, სოფელს კი -ტახტისძირი. სოფლის მოშორებით, ნიკას ღელეზე, ნასახლარებია. ამ მინდორზე წინათ სოფელი იყო თურმე გაშენებული, მერე მორიელი მომრავლებულა და დაუხოცავს ხალხი. ის ადგილი არც იხვნება და არც ითესება, მოსავალი არ მოდის. ამიტომ დაერქვა ნაკედლარი, ნასახლარი.

დირბის მოსახლეობის გადმოცემით, დირბი წინათ მდინარე ფრონის მარცხენა მხარეს ყოფილა გაშენებული, მერე მარჯვენა მხარეს გადასულა. იმ ადგილს, სადაც სოფელი იყო გაშენებული ნაკედლარებს ეძახიან. ნაკედლარებზე მართლაც არის ტახტისძირისა და დირბის მიწები. ორივეს ნაკედლარებს ეძახიან.

1921 წელს გორის მაზრა ადმინისტრაციულად იყოფოდა თორმეტ რაიონად, რომელიც მოიცავდა 32 თემს. გორის მაზრის რაიონები იყო მეჯვრისხევი, ქვემო ჭალა, ტყვიავი, ცხინვალი, რუისი, გომი, ქარელი, ხაშური, ბორჯომი, ხიდისთავი, ახალქალაქი, კავთისხევი. 1921 წელს დირბის თემს შეუერთდა სოფელი დვანი. დირბის თემი შედიოდა

---

[8] **კამარა** (*ბერძ.* kamara) — მრუდწრიული მოხაზულობის მზიდი სივრცული კონსტრუქცია, რომელსაც ახასიათებს განმბჯენი ძალვის წარმოქმნა და უმეტესად კუმშვაზე მუშაობა. განმჯენი ძალვა ჩვეულებრივ გადაეცემა შემკვრელს, კონტრფორსს, განივ კედელს და ა. შ. კამარის მასალად იყენებენ *რკინაბეტონს*, ბეტონს, *ქვასა* და ხეს. ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებაში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ცილინდრული კამარა, რომელიც 2 პარალელურ კედელს ან სვეტების მწკრივს ეყრდნობოდა. იყო აგრეთვე ვარსკვლავისებრი, ისრული (XVI-XVIII სს.) და შეკრული კამარები. უკანასკნელი შედგება სამკუთხა ელემენტებისაგან, რომლებიც კამარის წვეროში იყრიან თავს. შეკრული კამარა ზოგჯერ გუმბათს ცვლიდა (XVI ს.; *შიომღვიმის* ძველი ეკლესია, *ნინოწმინდის ტაძარი*) (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1980: 343).

რუისის რაიონში (ცინცაძე, 2012: 114-115). დოკუმენტებში არ ფიქსირდება ტახტისძირი. ვფიქრობთ, ტახტისძირი 1921-1930 წლებში დვანთან ერთად შედიოდა დირბის თემში და გაერთიანებული იყო რუისის რაიონში.

ტახტისძირის სახელწოდება უკავშირდება სოფლის ზემოთ აღმართულ თავწაკვეთილ გორაკს, რომელსაც ტახტისგორა, ტახტისსერი ჰქვია.

ი. გაგოშიძე აღნიშნავს: ,,ტახტისძირი, დირბისა და დვანისაგან განსხვავებით ახალი სოფელია. XIX საუკუნეში მოსახლეობა დირბიდან ფრონის ჭალაში ჩამოსახლებულა და სოფელს სახელი მიუღია იქვე, სერზე, სოფლის აღმოსავლეთით, აღმართული თავწაკვეთილი გორაკისაგან, რომელსაც ტახტისგორას უწოდებენ და რომელიც, როგორც ჩანს, ანტიკური ხანის ნასახლარია“ (გაგოშიძე, 2020: 14).

საგულისხმოა, ტახტისძირის ჭალაში ჩამოსახლების საკითხიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაკედლარებზე მართლაც არის ნასახლარები.

დღემდე მოპოვებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ტახტისძირის ტერიტორია უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული.

ს. „ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის, შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმისა და ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა მონაწილეობით სოფელ ტახტისძირში წითელბეგებზე 1996- 1997 წლებში სამი საველე კამპანიის ჩატარდა. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა იულონ გაგოშიძე, წევრები: ნ. გოგიბერიძე, ირ. ქორიძე, მ. ჯალაბაძე.

წითელბეგები მდებარეობს ფრონის მარცხენა ნაპირას, სოფლის ჩრდილოეთით, დაახლოებით შუა გზაზე ტახტისძირსა და დვანს შორის. ესაა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მცირედდაქანებული მდინარისპირა ტერასა, ფართობით თითქმის 0,5 ჰექტარი, რომელსაც აღმოსავლეთიდან ორმოცდაათიოდე მეტრი სიმაღლის ტახტისერი და სერის ძირში გამავალი სამანქანო გზა საზღვრავს, დასავლეთიდან კი ფლატე, რომელიც შვეულად ეშვება ფრონის ფლატეზე.

წითელბეგების მახლობლად, ჩრდილოეთით, ფრონის იმავე, მარცხენა ნაპირის გასწვრივ აღმართული სერის ფერდობზე პროფ. სერგი მაკალათიამ 1944-1945 წლებში ქ. წ. VII-VI საუკუნის დვანის ცნობილი სამაროვანი შეისწავლა. სამაროვანი მდებარეობს ,,სოლოფერდაზე“, რომლის სიგრძე დაახლოებით 300 მეტრია. შესწავლილია 15 ორმოსამარხი. სამკაული წარმოდგენილია, როგორც ბრინჯაოს, ასევე ვერცხლის ნივთებითა და სარდიონის, პასტის, მინის, გიშრისა და ქარის მძივებით. სამაროვანი თარიღდება ძვ. წ. VII-VI საუკუნეებით (მაკალათია, 1948: 40).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, რომ უძველესი დასახლება წითელბეგებზე გაჩენილა ქ. წ. IV ათასწლეულის ბოლოს. სწორედ ამ ხანით თარიღდება ექსპედიციის მიერ შესწავლილი მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპის ნაგებობა თიხის მოლესილი კერით, რომლებიც ქ. წ. III ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება. შესაძლებელია ეს სამარხები დვანის სერზე არსებული ადრეული ბრინჯაოს ხანის სამოსახლოს კუთვნილი იყოს. ერთი რამ კი უეჭველია: როცა ამ სამარხებს აგებდნენ, წითელბეგებზე მტკვარ-არაქსის ადრეული ეტაპის სამოსახლო მიწითაა დაფარული, ხოლო მისი არსებობა დავიწყებული იყო (გაგოშიძე, 2020: 14).

ქ. წ. პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში აქ არსებობდა ვრცელი დასახლება, რომელმაც წითელბეგებზე ორ მეტრზე მეტი სისქის ნაცრიანი კულტურული ფენა დატოვა. როგორც ჩანს, წითელბეგები ამ სამოსახლოს განაპირა ნაწილი იყო, სადაც ნაცარი და ნარჩენები იყრებოდა.

იულონ გაგოშიძის მოსაზრებით, დვანის ნეკროპოლისი ამ დასახლებას ეკუთვნოდა. წითელბეგებზე დაგროვებული ნაცრიანი კულტურული ფენის გათხრების

შედეგად დიდი რაოდენობით მოპოვებული ქ.წ. VIII-VII საუკუნეების სხვადასხვაგვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები საოცარ მსგავსებას იჩენს დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი, ზემოიმერეთში აღმოჩენილ თანადროულ კერამიკასთან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შიდა ქართლის ეს ნაწილი მაინც ზემო იმერეთთან ერთად ე. წ. კოლხური კულტურის გავრცელების არეალში იყო მოქცეული. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ლიხის ქედის ორივე მხარეს იმ დროსაც, ისევე როგორც დღეს, ერთი და იმავე კულტურის შემოქმედი, ერთი და იგივე ხალხი ცხოვრობდა.

ქ. წ. IV საუკუნეში წითელბეგების ამ ადრეულ სამოსახლოს ბაზაზე მცირე ქალაქი გაჩნდა. ამ ქალაქს, ალბათ, მაშინვე დვანი ერქვა და, შესაძლებელია, ეს იყო დვანისწყლის ხეობის ადმინისტრაციული ცენტრი, სადაც ცხოვრობდა ხევის მმართველი, ქალაქის სამხრეთით ქ. წ. IV საუკუნესა და III საუკუნის დასაწყისში არსებობდა სამაროვანი, სადაც სწორედ ამ მმართველებსა და მათი ოჯახის წევრებს მარხავდნენ (გაგოშიძე, 2020: 14-15)..

ქ. წ. III-II საუკუნებში წითელბეგებზე არსებული ქალაქი სამხრეთისაკენ გაიზარდა, ძველ სასაფლაოს გადაუარა და სამარხის თავზე შენობები აშენდა. აშკარაა, რომ სამაროვნის არსებობა იმ დროს უკვე დავიწყებული იყო, ქალაქის ახალი სასაფლაო კი გაჩნდა ძველი ნაქალაქარის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც 1997 წლს იულონ გაგოშიძის ხელმძღვანელობით 1997 წელს ქ.წ. I -ქ.შ. I საუკუნეების 11 სამარხი გათხარა.

სულ ამ ტერიტორიაზე 1996-1997 წლებში ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა სამი სხვადასხვა დროის სამაროვანი-ადრებრინჯაოს (3 სამარხი), გვიანაქემენიდური-ადრეელინისტურინ (23 სამარხი) და გვიანელინისტური-ადრერომაული ხანის (11 სამარხი). წითელბეგებზე გათხრებით მოპოვებული არქეოლოგიური მასალა დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, დედოფლის მინდვრის ფონდში (საკოლექციო #7-997).

ი. გაგოშიძეს გამოქვეყნებული აქვს წითელბეგების სამხრეთ ბოლოში გათხრილი ქ. წ. IV საუკუნესა და III საუკუნის დასაწყისის 23 სამარხის არქეოლოგიური მასალა, აგრეთვე ჩრდილოეთ უბანზე გათხრილი გვიანელინისტური-ადრერომაული ხანის სამარხების ინვენტარია.

გვიანაქემენიდურ-ადრეელინისტური ხანის სამარხეული ინვენტარი სიმდიდრით ვანში და საირხეში გათხრილ სამარხებს ვერ შეედრება, მაგრამ უაღრესად მრავალფეროვანია და ისეთი განსაკუთრებული კატეგორიის ნივთებსაც შეიცავს, რომლებიც ამ სამარხებს რიგითი მოსახლეების საფლავებისაგან განასხვავებს და, პირიქით, აახლოებს კოლხეთის - ვანის (ლორთქიფანიძე, 1972: 7-80), საირხის (მახარაძე, &წერეთელი, 2007), ითხვისის (გაგოშიძე, გოგიბერიძე, &მახარაძე, 2010: 49-55) და წარჩინებულთა სხვა სამარხებთან, რომლებთანაც ტახტისძირის სამარხები ისედაც დიდ მსგავსებას იჩენს, როგორც ინვენტარის შედგენილობით, ისე დაკრძალვის წესითა და სამარხთა კონსტრუქციით.

ყველაფერი ეს კი უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იმ დროს შიდა ქართლი ჩართული იყო კოლხეთის სახელმწიფო ადმინისტრაციულ სისტემაში, ე. ი. მოქცეული იყო კოლხეთის სახელმწიფო საზღვრებში. მეორე მხრივ, ტახტისძირის ის სამარხები, რომლებიც ხევის მმართველი ზედა ფენის წარმომადგენელთა კუთვნილად შეიძლება მივიჩნიოთ, აშკარად მსგავსია ქ. წ. IV -III საუკუნეების ე. წ. ახალგორის განძის წრის ძეგლებთან (ყანჩავაეთი, წინწყარო, კავთისხევი და სხვ.), რომლებიც ქართლის სამეფოს (იბერიის) მმართველ არისტოკრატთა სამარხებად განიხილება. ეს კი სხვა მონაცემთა გათვალისწინებით, ანგარიშგასაწევი საბუთია იმის სავარაუდოდ, რომ ქ. წ. III საუკუნეში შექმნილი ქართლის სამეფო ანუ კავკასიის იბერია, გარკვეული თვალსაზრისით, ძველი კოლხეთის მემკვიდრეა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970: 444; Гагошидзе, 1979: 99).

ტახტისძირი საქართველოში უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტია, ესოდენ დაშორებული შავი ზღვის სანაპიროს, სადაც სამარხებში მნიშვნელოვანი რაოდენობითაა წარმოდგენილი ძველი ბერძნული იმპორტი, როგორც კერამიკა, ისე მინისა და ლითონის ნაწარმიც, სამი ატიკური შავლაკიანი კანთაროსი და ორი ლანგარი, რომლებიც #6,#8 და # 40 სამარხებში აღმოჩნდა, ქ. წ. IV საუკუნის ბოლო მესამედს განეკუთვნება. დაახლოებით იმავე პერიოდით თარიღდება მინის ორი ოქროფენილი ინტალიო (სამარხი # 8, კატ.# 233, 234 (ჯავახიშვილი, 2012: 17-2), რომლებიც საქართველოსთვის უნიკალურია და მათი მსგავსი დანარჩენი მსოფლიოშიც სულ რამდენიმეა. ტახტისძისრის #8 სამარხში აღმოჩენილი თიხის სანელსაცხებლე (კატ. #242) მიეკუთვნება უნგვენტარიუმის ყველაზე ადრეულ ნიმუშებს და ელინისტური ხანის დასაწყისით ე.ი. ქ. წ. IV საუკუნის ბოლო მეოთხედით უნდა დათარიღდეს (გაგოშიძე, 2020: 15).

რკინის ბერძნული იარაღიც აღმოჩნდა ტახტისძირში. ესაა მახაირა - მოკლე, ცალპირა მახვილი და სამი ბარჯი, ზღვის ღმერთის, პოსეიდონის ატრიბუტი. აქვე აღმოჩენილია სტრიგილი- სპეციფიკური ძველბერძნული (და რომაული) ხელსაწყოა, რომელსაც მოჭიდავე ათლეტები სხეულიდან საპოხი ზეთისა და ზედ აკრული ჭუჭყის ჩამოსაფხეკად ხმარობდნენ შეჯიბრების შემდეგ და მისი შიდა ქართლში აღმოჩენა, ვფიქრობთ, უნდა გულისხმობდეს აქ სპორტული შეჯიბრების იმ ბერძნული წესის გავრცელებას, რომლის თანმხლები იარაღია სტრიგოლი.

ქ. წ. IV - III საუკუნეებით დათარიღებულ სამარხში დადასტურებულია მიცვალებულისათვის მონეტის, ე.წ. ,,ქარონის ობოლის“ გატანების ფაქტი: ტახტისძირში დაკრძალულ ერთ-ერთ ბავშვს პირში ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტა (კატ. # 176)- სტატერი აღმოაჩნდა, მეორე მიცვალებულისათვის კი ვერცხლის მონეტა- კოლხური თეთრი (კატ. #177) გაუტანებიათ .

ტახტისძირის სამაროვნის გათხრებმა დაგვარწმუნა, რომ ქ. წ. IV საუკუნის შიდა ქართლში არა მარტო ქარონის ობოლის საფლავებში ჩატანების წესი, არამედ ბერძნული დამწერლობაც გავრცელებულა ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოში (გაგოშიძე, 1968: 40-41). # 6 სამარხში აღმოჩენილ შავლაკიან კანთაროსზე (კატ. # 99) ბერძნული წარწერებია ამოკაწრული და ეს წარწერები უეჭველად აქვე, საქართველოშია შესრულებული, რადგან არავინ იყიდიდა და არც ბერძენი წამოიღებდა მას გასაყიდად. კანთაროსის კედელზე როგორც ჩანს, მფლობელის სახელიც იკითხება. ტახტისძირის ორ სამარხში (#8 და # 40) რკინის ლურსმნებით შეკრული ხის სარკოფაგი იყო ჩადგმული, ზუსტად ისეთივე, როგორიც ითხვისის (სამარხი #2), ვანის და საირხის სარკოფაგებია (გაგოშიძე, 2020: 16).

საქართველო ყოველთვის იყო გზაჯვარედინი, სადაც ჩრდილოეთი და სამხრეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი ხვდებოდა ერთმანეთს და ტახტისძირის სამაროვნის ნივთიერ მასალაშიც აისახა ეს გარემოება. სამარხებში აქ დასავლურთან ერთად აღმოსავლური იმპორტიც უხვად აღმოჩნდა.

ტახტისძირში, წითელბეგებზე აღმოჩენილი ნივთების კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ქ.წ.IV-III სს-ის ლითონის მასალა დამზადებულია, როგორც სპილენძ-კალა-ტყვიის, ისე სპილენძ-კალა-თუთიის შენადნობისაგან, რაც სრულად ადასტურებს არსებულ ვარაუდს, რომ ანტიკური ხანის მეტალურგიაში ჩნდება ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი, სპილენძის სამკომპონენტიანი შენადნობი და ამასთანავე გრძელდება

დარიშხნიანი სპილენძის შენადნობისა და კალიანი ბრინჯაოსგან ნივთების დამზადების ტრადიცია (გაგოშიძე, 2020: 304).

1884 წელს სოფრომ მგალობლიშვილმა გაზეთ დროებაში გამოაქვეყნა სტატიების ციკლი ,,ორი თვე სოფლად". ერთ-ერთ წერილში მას აღწერილი აქვს მაჩაბლების კონფლიქტი ვინმე დოღლაძეებთან წყლის გამო. ს. მგალობლიშვილის მიხედვით ,,ავნევის ხეობაზე მდგარა ერთი მძლავრი აზნაურიშვილი დოღლაძე. ამას ჰქონია მამითადი სალთითვისის მინდორში". ასევე დოღლაძე ყოფილა ,,ძველი დირბის მეპატრონეც". დოღლაძეები იმდენად ძლიერი აზნაურები ყოფილან, რომ თავს დასხმიან მაჩაბლებს საბაწმინდაში და დაუმარცხებიათ კიდეც. დოღლაძეებს ეკუთვნოდათ სოფელი ტახტისძირიც (დროება, 1884: 1-2).

მოგვიანებით, 1888 წელს, გაზეთ ,,ივერიაში" დაიბეჭდა ს. მგალობლიშვილის ,,წერილი ქართლიდამ" ს. გუმცაძის ფსევდონიმით, სადაც აღნიშნულია , რომ საბერო მამული ქართლში ცოტა არ არის, მაგრამ რაც არის, ძალიან კარგი და სულ თავი მამულია. სოფელი მეღვრეკისი ეკუთვნის სინას მთის მონასტერს, რომელსაც დაპატრონებიან ბერძნის ბერები. ეს სოფელი მდებარეობს დიდი ლიახვის პირად და სულ სარწყავია. სოფელი არკნეთი ესეც საბეროა - თორმანეულის ხეობაზეა.

აქაური მამული ძალიან მომცემი და ნოყიერია, მაგრამ ყველა ამათზე ბევრად დიდი მამული და ყოვლისფრით შემკული სოფელ დირბისა და ტახტისძირისა არის. ეს ორი უკანასკნელი სოფელი ეკუთვნის იერუსალიმის ქრისტეს საფლავის მონასტერს. დირბისა და ტახტისძირის მამულები სულ ოთხი ათას დესენტინამდეა, როგორც აღმოჩნდა გამიჯვნის დროს შარშან. ჩვენებურად რომ ვიანგარიშოთ, ათი ათას დღიურს შეადგენს, რადგან ურწყავის დღიური ბევრად მეტია სარწყავისაზე და დირბის თვალუწვდენელი სულ ურწყავია. ეს ორი სოფელი მდებარეობს ფრონის ხეობაზე. თვით მდინარის პირად. თვით ფრონის პირად სარწყავი მამული ძირს ღელეშია. ფრონის პირად აქვთ ვენახებიც. იმდენი ვენახი არსად არა არის ქართლში, რაც დირბშია. დირბში სამას კომლამდეა და ყველას აქვს ვენახები. დირბი და ტახტისძირი ჰკუთვნებია ვიღაც ძველ ფეოდალს დოღლაძეს[9], რომელსაც, ხალხის გადმოცემით, სჭერია აგრეთვე **დ**ოღლაძეს დოღლაურის ჭალაცა მტკვრის პირას, თითქმის სურამამდე. უძეოდ გადაგებული და ჩვენს მეფეებს ეს უკვდავება მამული შეუწირნიათ ქრისტეს საფლავისათვის (გუმცაძე, 1988: 1-2).

გაზეთ ,,ივერიაში" გამოქვეყნებულ ცნობებში ყურადღებას იქცევს დირბისა და ტახტისძირის იერუსალიმის მიწათმფლობელობის საკითხი და ფეოდალი დოღლაძის გვარის ხსენება. ამ საკითხზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ნიკო ხუციშვილი.
გვარი დოღლაძე უმნიშვნელო ცვლილებებით (დოღლისძე, დაღლაძე) რამდენჯერმე გვხვდება ქართულ საისტორიო საბუთებში. მათგან ყველაზე ადრეული 1398 წლით თარიღდება. ,,ამირთ ამირა" ლომი სუნღულისძეს და მის ძმისწულს ლაჩაის შეუწირავთ მცხეთისათვის ზარი გორში, ხოლო სვეტიცხოველის ტაძრისათვის შემოუვლიათ სპონდოი (ხუციშვილი, 2007: 31). სპონდოი არის ,,ქვა წყალთა მიერ ქვაქმნილი" ან ,,ქვა წყალთა მიერ და ხავსთაგან შექვავებული" (ორბელიანი, 1991: 615). ამ საბუთს სხვა წარჩინებულებთან ერთად (ქვენიფნეველი ერისთავი ვირშელი, ერისთავი შაბურიძე

[9] ს. მგალობლიშვილი ,,დოღლაძეს" სხვადასხვა წოდებით იხსენებს : ,,აზნაური დოღლაძე", ,, ძველი ფეოდალი დოღლაძე".

მიქაი და სხვა) ამტკიცებს ვინმე დოღლისძე ანინიკი (სცსა 1449/1652; ჟორდანია, 1897: 202).

1432 წელს მოლარეთუხუცესს ხელა თავხელიძეს სხვადასხვა მამულები შეუწირავს თირის მონასტრისათვის. მათ შორის არის ,,ღუერთეთს დედანაშვილისაგან ნასყიდი დოღლაძისა მიერ მისყიდული მამული მურტაული (შურდაული?)“ (გვასალია, 1983: 112). ხელა თავხელიძე არა მარტო თირის მონასტერზე ზრუნავდა, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ ეკლესია - მონასტრებზეც. შემთხვევით არ შემოინახა თავხელიძეების ოჯახის წევრთა სახელები ჯვრის მონასტრის აღაპებმა. ხელა თავხელიძის დამსახურება იმდენად დიდი იყო, რომ მის სახელზე, ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში მაცხოვრის საფლავზე ქართველმა ბერებმა კანდელი აანთეს, რომელიც ჩაუქრობლად უნდა ნთებულიყო (სოსიაშვილი, 2012: 47-48).

დოღლიძეების (დოღლაძეების ან დაღლაძეებს) სავარაუდო სამფლობელო ადგილები XIV-XV საუკუნეებში შემდეგნაირად შემოიფარგლება: დვანისწყლის ხეობის ნაწილი (ღვერთეთი, ტახტისძირი, დირბი); ნაწილობრივ დიდი ლიახვის მარჯვენა სანაპირო (მიწები რხვიითის ანუ ხვითის მახლობლად) და, აგრეთვე, ფრონეების ხეობების ქვედა, სამხრეთი ზოლი სურამის მიმართულებით (სოფ. დოღლაურა და დოღლაურის ჭალა) (ხუციშვილი, 2007:31-32).

როგორც გაზეთ ,,ივერიაში“ დაბეჭდილი ზემოთ მოტანილი წერილიდან ჩანს, დოღლიძეებს ეკუთვნოდათ სოფელი ტახტისძირიც. ეს სოფელი დირბის მიმდებარეა.

შიდა ქართლში იერუსალიმის მიწათმფლობელობა XVII საუკუნისათვის უკვე ჩამოყალიბებულია. ამ ხანის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, ამილახორის სადროშოში შემავალ სენიორებს შორის დასახელებულია ,,სუეტის ცხოველიუსა და იელუსარემის“ მიწები (გვრიტიშვილი, 1955 : 289; ხუციშვილი, 2007: 27).

ქართულ სავანეებს შორის განსაკუთრებული პრივილეგიით სარგებლობდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის შიდა ქართლში რამდენიმე სოფელს ფლობდა. სოფელი დირბი მთლიანად ჯვრის მონასტრის კუთვნილება იყო. დირბის ღვთისმშობლის ეკლესია იერუსალიმის არქიმანდრიტის რეზიდენციას წარმოადგენდა. ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა აგრეთვე სოფელი თერგვისი (პატარა ლიახვის ხეობა), საღოლაშენი, მონასტერს ყმები ჰყავდა გორში, ნიქოზსსა და ატენში (მამისთვალიშვილი, 2004: 53; სოსიაშვილი, 2012: 46).

შიდაქართლში, მდინარე დვანის ფრონეს ანუ დვანისწყლის ხეობაში მდებარე სოფელი დირბი ცნობილია ყველაზე ადრინდელ შეწირულობად საქართველოში იერუსალიმისადმი, რომელიც დოკუმენტურად დასტურდება. დირბი იერუსალიმისათვის შეუწირავს სვიმონ I-ს (1556-1600). ამას ვგებულობთ სვიმონის მეუღლის ნესტან-დარეჯანის მიერ გაცემული 1588 წლის 3 ივლისით დათარიღებული საბუთიდან: ,,ესე იგულვა და იგულისსმოდგინა მეფეთ-მეფემან სუიმონ და შემოსწირა სოფელი დირბი წმიდასა და განმაცხოველებელსა ჯვრის მონასტერსა და ცხოველმყოფელსა არსადგომელსა საფლავსა უფლისასა და საუფლოთა სისხლითა მიერ მორწყულსა წმიდასა გოლგოთასა“ (სცა 1450 -51/ 178)[10].

[10] ჩვენამდე ამ მნიშვნელოვანი საბუთის მხოლოდ პირია მოღწეული. პლატონ იოსელიანს დედანი უნახავს თბილისის ჯვარისმამის ეკლესიასთან დაკავშირებულ საბუთებს შორის და მის მოკლე შინაარს გადმოგვცემს (Иоселиани, 1960: 63). სვიმონ I-ის მეუღლის-ნესტან-დარეჯანის მიერ გაცემული საბუთი ყველაზე ადრინდელი საისტორიო საბუთია, რომელშიც სოფელი დირბი მოიხსენიება (ხუციშვილი, 2007:27).

როგორც ქრისტეს საფლავის ეკლესიის საკუთრება, ტახტისძირი მოხსენიებულია 1874 წელს შედგენილ აღმოსავლეთის წმინდა ადგილებისა და მონასტრების მამულების სიაში დირბთან ერთად (Натроев, 1909: 430).

გვხვდება ტერმინები ,,საბერო მამული", ,,საბერო გლეხი", ,,ბერის მოურავი" (გაზეთი ,,ივერია", 1888: 1-3).

ნ. ხუციშვილი ს. გუმცაძის წერილზე დაყრდნობით წერს: 1888 წელს დირბში და ტახტისძირში ჩასული იყო არქიმანდრიტი მელეტიოსი(ივერია, 1888: 1-3; ხიზანიშვილი, 2007: 115). ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჯვარის მამებისა და საქართველოში იერუსალიმის ყმა-მამულის მმართველთა სიაში (XVII საუკუნის მეორე ნახევრი - XX საუკუნის დასწყისი) დასახელებულია ,,მელეტიოსი-XVII საუკუნის 50-იანი წლების II ნახ. – 1666" (ხუციშვილი, 2007: 116).

გაზეთ ,,ივერიაში" სოფრომ მგალობლიშვილი დაწვრილებით აღწერს იერუსალიმის მიწათმფლობელობას. მამულის მოურავად დანიშნული იყო არქიმანდრიტი. მონასტრისათვის თავდაპირველად შეუწირავთ სულ რამდენიმე კომლი, დანარჩენზე დაუსახლებით გლეხები სხვადასხვა ადგილებიდან და მამული სახაზინოდ მიუციათ, მაგრამ ბერძნის ბერებს ისე ოსტატურად დაუჭერიათ საქმე, რომ სახაზინო გლეხებისათვისაც ჩამოურთმევიათ მამული და დაუბეგრიათ. ასევე სდომებით აქაური აზნაურებისათვისაც, მაგრამ მათ ფხა გამოუჩენიათ და ერთი ციდა მამულიც არ დაუნებებიათ ბერებისათვის. თუმცა ამ დავიდარაბაში ბევრი მამული გამოსცლიათ ხელიდან.

დირბისა და ტახტისძირის საბერო გლეხი დღიურზე იხდიდა მეშვიდედ ღალას დღიურზე და ვენახზე კულუხს. ასეთი წესი იყო: სოფელი ბერის თანდასწრებით ამოირჩევდა რამდენიმე კეთილსინდისიერ კაცს და მათ მიანდობდა დათესილი მინდვრების აღწერას. ამორჩეული კაცნი ბერის ან მისი მოურავის თანდასწრებით შემოივლიდნენ მინდორს და შეაწერდნენ დღიურ ღალას - ათას ჩანახს, ხან კი თორმეტს. ხშირად ორ დღიურს ერთ დღიურად წერდნენ, რომლითაც ხალხს დიდი შეღავათი ეძლეოდათ. ასევე დაივლიდნენ ვენახებს და ნაყოფიერების მიხედვით აღწერდნენ კულუხს. ღალა-კულუხს ბერის მოურავი რწყავდა თავის ჩანახ - თუნგით და გლეხს მიჰქონდა ბერის სასახლეში. ღალას იხდიდნენ მხოლოდ პურზე, ქერზე და სიმინდზე. დანარჩენი ნათესი ფეტვი, მუხუდო, შვრია, უგრეხელი, კარტოფილი, ლობიო, ბოსტნეული მოსავალი სულ თავისუფალი იყო გადასახადისაგან. არც თივის ღალას იღებდნენ. გადასახადის გადახდის ეს წესი ჩვეულებად იქცა, დაკანონდა. ასე რომ, ყველა ბერი, მოურავი ამ ჩვეულებას ადგა და არც აქეთ გადაუხვევდა და არც იქით. ღალა-კულუხის გარდა კომლზე თითო ქათამს ართმევდნენ და თითო მუშას თუკი დასჭირდებოდათ. წელიწადში ერთხელ მთელი სოფელი ერთად გაიტანდა ხოლმე გუთნებს ბერის ხოდაბუნის მოსახნავად.

XIX საუკუნის სამოციან წლებში მმართველობამ იერუსალიმის ბერებს ჩამოართვა ყველა მამული, რომელიც საქართველოში ჰქონდათ და ,,სახელმწიფოდ შერაცხა", დაინიშნა გამგებლები. იერუსალიმის პატრიარქის თხოვნით, ისევ დაუბრუნა მონასტრებს მიწები და კვლავად გაჩნდნენ ბერები, რომლებიც ძველი წესით იქცეოდნენ. არქიმანდრიტ მელეტის თაოსნობით მამულები გაიმიჯნა და შემოიყორნა ქრისტეს საფლავის სახელობაზე. გამიჯვნის დროს ყველა გლეხი აჩვენებდა სწორად თავისი მამულის რაოდენობას, რომელსაც იგი ხმარობდა და ეჭირა მამა-პაპიდან. გამმიჯვნელი წერდა გლეხის სახელს, გვარსა და მამულს - საბეროდ. გლეხებს ეგონათ, რომ მამული ჩვენ გვრჩებაო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მამული იმათი საკუთრება კი არ იყო, არამედ ქრისტეს საფლავის მონასტრის საკუთრება.

ვინც კი გაბედა დავა ამ მამულებზე, დარწმუნდნენ, რომ საკუთრება ქრისტეს საფლავისაა, რომელიც ბერძენი ბერების ხელშია. მმართველი განუდგა გადასახადის გადახდის წეს-ჩვეულებას და ხალხს მოსთხოვა მეოთხედი დღიურზე ღალა და მეოთხედი კულუხი. იმ მიწებზეც მოითხოვეს ღალა, რომელიც გლეხებს არასოდეს გადაუხდიათ: ფეტვზე, უგრეხელზე, შვრიაზე, თივაზე, კარტოფილზე, ბოსტნეულზე და სხვა.

ხალხმა ასეთი მოთხოვნა იმტკიცა და მთელი ზაფხული დიდ დავიდარაბაში იყო. ბევრმა მაინც გაიტანა თავისი და შეინარჩუნა გადასახადის მეოთხედი ზემოთ აღნიშნულ პროდუქტებზე. დღეს ბერსა და გლეხს საჩივარი აქვთ იმაზე, რომ გადასახადის ძველი წესი დაუბრუნონ მამული დირბს ბევრი აქვს, გლეხობა საერთოდ არ საჭიროებს სხვის მამულში გადასვლას, მაგრამ მამული ურწყავია და ხშირად არ იძლევა კარგ მოსავალს. მამული გლეხებში თანასწორად არ არის განაწილებული, ზოგს ორას-სამასი დღიური და ოც-ორმოცზე ნაკლები არავის აქვს(გუმცაძე, 1988: 1-2).

ს. მგალობლიშვილი ყურადღებას ამახვილებს მიგრაციულ პროცესებზე: გადმოსახლებულ სომხებს მიწები ნაკლები აქვთ ხუთ დღიურიდან - ათ დღიურამდე. ესენი პირველად გადმოუსახლებით ამ საუკუნის პირველ ნახევარში და მეორედ ყირიმის ომის დროს. ამიტომ ცოტა მამული შეხვედრიათ.

,,დღეს ხალხი გამრავლდა და მთის ხალხმა, ოსებმა ბარად გამოიწიეს, მამული არ ჰყოფნის ხალხს; მეოთხედ ისეთს ალაგებს ჰხნავენ, სადაც თავის დღეში არ ხნულა. ამ ჟამად საქმე იქამდე მივიდა, რომ მემამულეებს ეხვეწებიან მოგვახვნევინეთო, მე თვით მოწამე ვარ, ხურვალეთის მებატონეებს ოსები მესამედად ეხვეწებიან მოგვახვნევინეთო, რას მისცემენ, რომ მამულები გაცემული გვაქვსო“ (გუმცაძე, 1888:1-3).

ცოტა მამული რჩებათ სახელმწიფო გლეხებსაც, რადგან მათთვის მამულები ჩამოურთმევიათ და მონასტრის გლეხებისათვის მიუკერძოებით. ამიტომაც არის, რომ მონასტრის გლეხებს დიდი მამულები უჭირავთ დღეს.

როგორც ჩანს, მონასტრის გლეხები ჯერჯერობით ისე არ არიან დაბეგრილები, როგორც დროებით ვალდებული გლეხები. მონასტრის გლეხები უფრო უკეთეს ყოფა-ცხოვრებაში არიან, ვიდრე სახელმწიფო გლეხები. სახელმწიფო გლეხებს თავისი მამული არ ჰყოფნით, საბატონოში გადადიან და ძალაუნებურად ორ ბატონს უნდა ემსახურონ-სახლმწიფოსა და მემამულეს.

საბერო ანუ მონასტრის გლეხებს მიწები შედარებით ბევრი აქვთ: იგი ერთ-ერთ ბატონს ემსახურება და ერთ ბატონთან აქვს საქმე. აძლევს გადასახადს და დანარჩენი თვითონ რჩება. ყველა სხვა მოსავალი თავისუფალია მიწის გადასახადებისაგან.

ვფიქრობთ, დირბსა და ტახტისძირში გვართა მიგრაციული პროცესების ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს სხვა კუთხეებიდან ის იყო, რომ სამონასტრო გლეხები უფრო კარგ პირობებში იმყოფებოდნენ, ვიდრე სახელმწიფო და საბატონო გლეხები.

რაც შეეხება პრესის მასალებს, მართალია ზეპირ გადმოცემას ეყრდნობა, მაგრამ ვფიქრობთ, გარკვეულ ისტორიულ სინამდვილეს ასახავს.

გაზეთი ,,ცნობის ფურცელი“ გვაწვდის ინფორმაციას: 1896 წლის 18 ნოემბერს თბილისის თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკი გადასახადის გადაუხდელობის გამო საჯაროდ ყიდდა ტარას ანდრიას ძე მგალობლიშვილის დირბსა და ტახტისძირში მდებარე 20 დესენტინასა და 820 კვადრატულ საჟენ სახნავ-სათესს, სამოსახლო ადგილებსა და საძოვრებს (გაზეთი ,,ცნობის ფურცელი“, 1896: 13). აქედან ვიგებთ, რომ ტახტისძირში მამულები ჰქონიათ მგალობლიშვილებსაც.

ამრიგად, გაანალიზებული მასალების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ტახტისძირი დვანის ფრონის ხეობის გამყოფი საზღვრისპირა სოფელია, მდებარეობს ფრონის მარცხენა მხარეს. ფრონის ხეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ოკუპირებულია,

ნაწილი გამყოფი ხაზის ახლოს მდებარეობს. მატერიალური კულტურის საყურადღებო ნაშთები და წარწერები ნათელს ჰფენს წარსულში ამ ხეობის უაღრესად დიდ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის თავდაცვისა და კულტურის თვალსაზრისით. ფრონის ხეობიდან გზები გადადიოდა იმერეთში. ამ გზებმა საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის ორივე ნაწილის კულტურულ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი ერთიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ტახტისძირის სახელწოდება უკავშირდება სოფლის ზემოთ აღმართულ თავწაკვეთილ გორაკს, რომელსაც ტახტისგორა, ტახტისსერი ჰქვია. პრესისა და სამეცნიერო დოკუმენტების მიხედვით სოფელი ეკუთვნოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერს. ტახტისძირი, როგორც იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ეკლესიის საკუთრება, მოხსენიებულია 1874 წელს შედგენილ აღმოსავლეთის წმინდა ადგილებისა და მონასტრების მამულების სიაში დირბთან ერთად. დირბისა და ტახტისძირის მიწები ეკუთვნოდა აზნაურ დოღლაძეს. მისი გარდაცვალების შემდეგ სვიმონ პირველს XVI საუკუნეში დირბი შეუწირავს იერუსალიმისათვის.ამას ვგებულობთ სვიმონის მეუღლის, ნესტან-დარეჯანის მიერ გაცემული 1588 წლის 3 ივლისით დათარიღებული საბუთიდან. სავარაუდოა, სოფელ ტახტისძირის იერუსალიმის მონასტრისათვის შეწირვაც ამ პერიოდში უნდა მომხდარიყო.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის, შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმისა და ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა მონაწილეობით 1996-1997 წლებში ჩატარდა შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია სოფელ ტახტისძირში, წითელბეგებზე, ფრონის მარცხენა მხარეს. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ი. გაგოშიძე, წევრები: ნ. გოგიბერიძე, ი. ქორიძე, მ. ჯალაბაძე. წითელბეგებზე გათხრილი სამი სხვადასხვა დროის სამაროვანი თარიღდება ქ.წ. IV-III საუკუნით. აქ აღმოჩენილი ნივთები მსგავსია კოლხეთის - ვანის, საირხის და ითხვისის სამარხებში აღმოჩენილი მასალების. ამ სამარხებში მნიშვნელოვანი რაოდენობითაა აღმოჩენილი ძველი ბერძნული იმპორტი, როგორც კერამიკა, ისე მინისა და ლითონის ნაწარმიც. სამარხში დადასტურებულია მიცვალებულისათვის მონეტის ჩატანების ფაქტიც.

ტახტისძირის პეტრე-პავლეს ეკლესია თარიღდება XIX საუკუნით და საქართველოში გავრცელებული დარბაზეული, ერთნავიანი ტაძრის ისეთი ტიპია, როგორც აკვანება, ოლთისი, ეხვევი, ხცისი, სავანე, მაღალაანთ ეკლესია, ქარზამეთი და სხვა.

ტახტისძირის ტოპონიმებისა და მოსახლე გვარსახელთა წარმოების წესი დამახასიათებელია სალიტერატურო ენისა და ქართული ენის სხვა დიალექტებისათვისაც. სოფლის სახნავ-სათესი ადგილების სახელწოდებებში არ გვხვდება სხვა ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი ნორმები.

საქართველო ყოველთვის იყო გზაჯვარედინი, სადაც ჩრდილოეთი და სამხრეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი ხვდებოდა ერთმანეთს და ტახტისძირის ნივთიერ მასალაშიც აისახა ეს გარემოება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ახუაშვილი, ი. (2005). *ქართული გვარ-სახელები. მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის.* II. თბილისი.

ბაგრატიონი, ვ. (1941). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია).* თბილისი.

ბაგრატიონი, ი. (1980). ქართლ-კახეთის აღწერა. *ტოპონიმიკა. II.* თბილისი.

ბერიძე, ვ. (1978). *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.* ტ. 3. თბილისი.

გაგოშიძე, ი. (1968). ითხვისის სამარხი. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XXV-B*, 31-45.

გაგოშიძე, ი. (1977). *წარმართული სატაძრო კომპლექსის გათხრები დედოფლის მინდორზე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. ტ.5.* თბილისი.

გაგოშიძე, ი. (1978). დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსის 1976-1977 წწ. არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. ტ.6*, 62-77.

გაგოშიძე, ი. (1997). არქეოლოგიური გათხრები ტახტისძირში (ქარელის რ-ნი). *კავკასიის არქეოლოგია. უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსი.*, (გვ. 16-17). თბილისი.

გაგოშიძე, ი. (2020). *ტახტისძირის სამაროვანი.* თბილისი.

გაგოშიძე, ი. გოგიბერიძე,& ნ. მახარაძე, მ. (2010.). ითხვისის სამაროვანი. *არქეოლოგიური ჟურნალი. IV*, 49-55.

გაზეთი ,,ცნობის ფურცელი" (1896). 18 ნოემბერი. #30. 1-2.

გვასალია, ჯ. (1983). აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები. თბილისი.

გვასალია, ჯ. (1989). ფრონის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. VII.* თბილისი: ,, მეცნიერება".

გვრიტიშვილი, დ. (1955). *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან.* თბილისი.

გუმცაძე, ს. (1888) . წერილი ქართლიდამ. *გაზეთი ,,ივერია". 15 ოქტომბერი. # 216,* 1-2.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. (1941). თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ. თბილისი.

თაყაიშვილი. ე. (1907). 1715 წლის რუისის სამწყსოს *დავთარი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები.* წიგნი I. ტფილისი.

თბილისის ვილაიეთის 1728 წლის დიდი დავთარი. (2009). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით და გამოკვლევითა გამოსაცემად მოამზადეს აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ და პროფესორმა ნოდარ შენგელიამ. თბილისი.

კობერიძე, მარიამ. 2009. ტოპონიმების წარმოებისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში. *გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.* გორი.

კობერიძე, მ. (2011). *ზემოჭარულის დარგობრივი ლექსიკა.* თბილისი: გამომცემლობა ,,მერიდიანი".

კობერიძე, მარიამ. 2014. ფრონეს ხეობის ტოპონიმია 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარში. *წელიწდეული.* VI. ქუთაისი.

კობერიძე, მარიამ. 2015. იოანე ბატონიშვილი ,,ქართლ-კახეთის აღწერა" და ფრონეს ხეობის ტოპონიმია. *ონომასტიკური კრებული.* ახალციხე.

კობერიძე, მ. (2020). მსაზღვრელ-საზღვრულიანი ტოპონიმები ფრონეს ხეობის ქართლურში. *VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,ქართულ-ოსური განვითარების პერსპექტივები" მასალები*, 58-59.

კობერიძე, მ. (2024ა). *მავრცობი ხმოვნების პოზიცია და ფუნქცია შიდაქართლურში.* თბილისი: გამომცემლობა ,,მერიდიანი".

კობერიძე, ა. (2024 ბ). ბერ- ძირიანი ლექსიკის მოდელი ქართულში. Scientia. #5.
ლორთქიფანიძე, ო. (1972). *ვანის ნაქალაქარი. ვანი. I.* თბილისი.
მაკალათია, ს. (1948). *დვანის ნეკროპოლისი.* თბილისი.
მაკალათია, ს. 1963. *ფრონის ხეობა.* თბილისი.
მამისთვალიშვილი, ე. (2004). *იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია.* თბილისი.
მახარაძე, გ.& წერეთელი, მ. (2007). *საირხე.* თბილისი.
მგალობლიშვილი, ს. (1884). ორი თვე სოფლად. *გაზეთი ,,დროება".* 16 ივლისი. # 155. 1-2.
ორბელიანი, ს. (1993). *ლექსიკონი ქართული. II.* თბილისი: მერანი.
ჟორდანია, თ. (1897). *ქრონიკები საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. II.* თბილისი.
საქართველოს ისტორიის ნარკვევები. (1970). I. თბილისი.
საქართველოს ისტორიისა და კულტურის ისტორიის ძეგლთა აღწერილობა. (1990). შემდგენლები: ვ. დოლიძე, ს. კინწურაშვილი ტ.5.
საქართველოს 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა). (2003). ტომი. II. თბილისი, http://www.statistics.ge/_files/georgian/census/2002/saqartvelos%20soflebis%20mosaxleoba.pdf. დამოწმების თარიღი 15.10. 2025.
საქართველოს 2014 წლის აღწერის ძირითადი შედეგები (2018). თბილისი. https://www.geostat.ge/media/20680/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf
დამოწმების თარიღი 15.10. 2025.
სოსიაშვილი, გ. (2012). თავხელიძე-მაჩაბლების ურთიერთობა იერუსალიმის ქართულ სავანეებთან (XV ს. I ნახ.). *გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული. # 3,* 45-53.
სცსა 1449/ 1652. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.ფ.1449/ 1652.
სცსა 1450-51/178. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.1450-51/178.
ქადეიშვილი, ნ. (1984). არქიტექტურის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა ,,განათლება".
ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (1980). ტ. 5. თბილისი.
ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (1984). ტ. 7. თბილისი.
ღლონტი, ა. (1988). ფრონეების ხეობების ტოპონიმია. თბილისი.
ცინცაძე, ზ. (2012). ენციკოპედია ,,საქართველო". ტ. 2. თბილისი.
ჩუბინაშვილი, ნ. (1961). ქართული ლექსიკონი. თბილისი.
ჭუმბურიძე, ზ. (1987). *დედაენა ქართული.* თბილისი: გამომცემლობა ,,ნაკადული".
ხუციშვილი, ნ. (2007). *იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში.* თბილისი: გამომცემლობა ,,არტანუჯი".
ჯავახიშვილი, ქ. (2012). ოქროს ფურცლით შემკული იშვიათი ნივთები ტახტისძირის სამაროვნიდან. *იბერია-კოლხეთი #8,* 17-21.
ჯაფარიძე, ო. (1966). *მასალები გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიისათვის შიდა ქართლიდან-მასალები საქართველოს მატერიალური ისტორიისათვის. I.* თბილისი.
Gagoshidze, i. (2001). *A Roayal Palace in first Gentury Iberia According to the Archaelogical Material from DeDoplis Gora,Georgia.* Danish Inctitute at Athens.
Koberidze, M. (2020.). For the Question of Lerning Localization and Compozition of Toponimov The Prone Valley. *Karadeniz.# 46.*, Ankara.
Куфтин, В. А. (1949). *Материалы к археологии Колхиды. II.* Твилиси.

Гагошидзе Ю. М. (1979). *Самадло.* Твилиси.
Натроев, А. (1909). *Иверский монастыр на Афоне.* Тифлисъ.

References

akhuashvili, i. (2005). *kartuli gvar-sakhelebi. masalebi kartuli gvarebis ist'oriisatvis [Georgian surnames. Materials for the history of Georgian surnames]. II.* tbilisi.

bagrat'ioni, v. (1941). *aghts'era sameposa sakartvelosa (sakartvelos geograpia)[Description of the Kingdom of Georgia (Geography of Georgia)].* tbilisi.

bagrat'ioni, i. (1980). kartl-k'akhetis aghts'era[Description of Kartli-Kakheti]. t'op'onimik'a *[Toponymy].* II. tbilisi.

beridze, v. (1978). *kartuli sabch'ota entsik'lop'edia [Georgian Soviet Encyclopedia].* t'. 3. tbilisi.

gagoshidze, i. (1968). itkhvisis samarkhi [Itkhvisi Tomb]. sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis moambe*[Bulletin of the Georgian State Museum*]. t'. KhKhV-B, 31-45.

gagoshidze, i. (1977). ts'armartuli sat'adzro k'omp'leksis gatkhrebi dedoplis mindorze *[Excavations of a pagan temple complex on the Queen's Field].* sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis arkeologiuri eksp'editsiebi*[Archaeological expeditions of the Georgian State Museum].* t'.5. tbilisi.

gagoshidze, i. (1978). dedoplis mindvris sat'adzro k'omp'leksis 1976-1977 ts'ts'[Report on the 1976-1977 archaeological excavations of the Queen's Field Temple Complex]. arkeologiuri gatkhrebis angarishi. sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis arkeologiuri eksp'editsiebi *[Archaeological expeditions of the Georgian State Museum].* t'.6, 62-77.

gagoshidze, i. (1997). arkeologiuri gatkhrebi t'akht'isdzirshi (karelis r-ni). k'avk'asiis arkeologia. uakhlesi aghmochenebi da p'ersp'ekt'ivebi [Archaeological excavations in Takhtisdziri (Kareli region). Archaeology of the Caucasus. Recent discoveries and perspectives]. saertashoriso sametsniero sesiis mokhsenebata mok'le shinaarsi. *[Summary of the reports of the international scientific session].* (16-17). tbilisi.

gagoshidze, i. (2020). t'akht'isdziris samarovani[*Takhtisdziri Cemetery].* tbilisi.

gagoshidze, i. gogiberidze,& n. makharadze, m. (2010.). itkhvisis samarovani[Itkhvisi cemetery]. arkeologiuri zhurnali *[Archaeological Journal].* IV, 49-55.

gazeti ,,tsnobis purtseli" [*"Information Sheet"].* (1896). 18 noemberi. #30. 1-2.

gvasalia, j. (1983). aghmosavlet sakartvelos ist'oriuli geograpiis nark'vevebi *[Essays on the historical geography of Eastern Georgia].* tbilisi.

gvasalia, j. (1989). pronis kheobis ist'oriuli geograpiis sak'itkhebi[Issues of historical geography of the Fron Valley]. sakartvelos ist'oriuli geograpiis k'rebuli *[Collection of Historical Geography of Georgia].* VII. tbilisi: ,, metsniereba".

gvrit'ishvili, d. (1955). peodaluri sakartvelos sotsialuri urtiertobis ist'oriidan *[From the history of social relations in feudal Georgia].* tbilisi.

gumtsadze, s. (1888) . ts'erili kartlidam [Letter from Kartli]. gazeti ,,iveria" *["Iveria"].* 15 okt'omberi. # 216, 1-2.

gurjist'anis vilaietis didi davtari[The Detailed Register *of the Gurjistan Province].* (1941). turkuli t'ekst'i gamostsa, targmani, gamok'vleva da k'oment'arebi daurto sergi jikiam. tbilisi.

taqaishvili. e. (1907). 1715 ts'lis ruisis samts'qsos davtari *[The Ruisi herd register of 1715].* arkeologiuri mogzaurobani da shenishvnebi *[Archaeological Travels and Notes].* ts'igni I. t'pilisi.

tbilisis vilaietis 1728 ts'lis didi davtari *[The Detailed Register of Tbilisi Province, 1728].* (2009). turkuli t'ekst'i kartuli targmanit, shesavlit da gamok'vlevita gamosatsemad moamzades ak'ademik'osma sergi jikiam da p'ropesorma nodar shengeliam. tbilisi.

k'oberidze, mariam. 2009. t'op'onimebis ts'armoebisatvis prones kheobis kartlurshi *[For the production of toponyms in the Georgian dialect of the Prone Valley].* goris sakhelmts'ipo universit'et'is meore saertashoriso sametsniero k'onperentsiis masalebi *[Proceedings of the Second International Scientific Conference of Gori State University].* gori.

k'oberidze, m. (2011). zemoach'arulis dargobrivi leksik'a *[Zemoadjaruli's sectoral vocabulary].* tbilisi: gamomtsemloba ,,meridiani".

k'oberidze, mariam. 2014. prones kheobis t'op'onimia 1715 ts'lis ruisis samts'qsos davtarshi *[Toponymy of the Prone Valley in the "Ruisis's Herd Book" of 1715].* ts'elits'deuli *[Yearbook].* VI. kutaisi.

k'oberidze, mariam. 2015. ioane bat'onishvili ,,kartl-k'akhetis aghts'era" da prones kheobis t'op'onimia[Ioane Batonishvili's "Description of Kartl-Kakheti" and the toponymy of the Prone Gorge]. onomast'ik'uri k'rebuli *[Onomastic collection].* akhaltsikhe.

k'oberidze, m. (2020). msazghvrel-sazghvruliani t'op'onimebi prones kheobis kartlurshi [Boundary-boundary toponyms in the Georgian dialect of the Prone Valley]. VI saertashoriso sametsniero k'onperentsiis ,,kartul-osuri ganvitarebis p'ersp'ekt'ivebi" masalebi *[Proceedings of the VI International Scientific Conference "Prospects of Georgian-Ossetian Development"],* 58-59.

k'oberidze, m. (2024a). mavrtsobi khmovnebis p'ozitsia da punktsia shidakartlurshi *[The position and function of the distributive vowel in Shidakartuli].* tbilisi: gamomtsemloba ,,meridiani".

k'oberidze, a. (2024 b). ber- dziriani leksik'is modeli kartulshi [A model of root vocabulary in Georgian]. *Scientia.* #5.

lortkipanidze, o. (1972). vanis nakalakari. van*i[A native of Vani. Vani].* I. tbilisi.

mak'alatia, s. (1948). dvanis nek'rop'olisi [Dvan Necropolis]. tbilisi.

mak'alatia, s. 1963. pronis kheoba *[Fron Valley].* tbilisi.

mamistvalishvili, e. (2004). ierusalimis jvris monast'ris *ist'oria [History of the Monastery of the Cross in Jerusalem].* tbilisi.

makharadze, g.& ts'ereteli, m. (2007). sairkhe *[Sairkh].* tbilisi.

mgaloblishvili, s. (1884). ori tve soplad [Two months in the countryside]. gazeti ,,droeba" *["Time"].* 16 ivlisi. # 155. 1-2.

orbeliani, s. (1993). leksik'oni kartuli *[Dictionary Georgian].* IIChronicles of Georgian history and writing]. tbilisi: merani.

zhordania, t. (1897). kronik'ebi sakartvelos ist'oriisa da mts'erlobisa*[Chronicles of Georgian history and writing].* II. tbilisi.

sakartvelos ist'oriis nark'vevebi. *[Essays on the history of Georgia].(*1970). I. tbilisi.

sakartvelos ist'oriisa da k'ult'uris ist'oriis dzeglta aghts'eriloba. *[Monuments of Georgian history and culture]*(1990). shemdgenlebi: v. dolidze, s. k'ints'urashvili t'.5.

sakartvelos ist'oriisa da k'ult'uris dzeglta aghts'eriloba.t'. *[Monuments of Georgian history and culture].* 5. (1990). tbilisi.

sakartvelos 2002 ts'lis p'irveli erovnuli saqoveltao aghts'eris dziritadi shedegebi (sakartvelos soplebis mosakhleoba) *[Main results of the first national census of Georgia in 2002 (population of rural areas of Georgia)].* (2003). t'omi. II. tbilisi,

http://vvv.statistitss.ge/_piles/georgian/tsensus/2002/saqartvelos%20soplebis%20mosakhleoba.pdp. damots'mebis tarighi 15.10. 2025.

sakartvelos 2014 ts'lis aghts'eris dziritadi shedegebi. *[Main results of the 2014 census of Georgia].* (2018). tbilisi. https://vvv.geostat.ge/media/20680/2014-vlis-aRveris-ZiriTadi-Sedegebi.pdp

damots'mebis tarighi 15.10. 2025.

sosiashvili, g. (2012). tavkhelidze-machablebis urtiertoba ierusalimis kartul savaneebtan (KhV s. I nakh.). [Relations between the Tavkhelidze-Machables and the Georgian settlements of Jerusalem (15th century, fig. I)]. goris sasts'avlo universit'et'is ist'oriisa da arkeologiis tsent'ris shromata k'rebuli. *[Collection of works of the Center for History and Archaeology of Gori University].* # 3, 45-53.

stssa 1449/ 1652. sakartvelos tsent'raluri sakhelmts'ipo saist'orio arkivi *[Central State Historical Archive of Georgia].*p.1449/ 1652.

stssa 1450-51/178. sakartvelos tsent'raluri sakhelmts'ipo saist'orio *arkivi [Central State Historical Archive of Georgia].*1450-51/178.

kadeishvili, n. (1984). arkit'ekt'uris sapudzvlebi *[Fundamentals of architecture].* tbilisi: gamomtsemloba ,,ganatleba".

kartuli sabch'ota entsik'lop'edia *[Georgian Soviet Encyclopedia].* (1980). t'. 5. tbilisi.

kartuli sabch'ota entsik'lop'edia*[Georgian Soviet Encyclopedia].* . (1984). t'. 7. tbilisi.

ghlont'i, a. (1988). proneebis kheobebis t'op'onimia [*Toponymy of the Phronei valleys*]. tbilisi.

tsintsadze, z. (2012). entsik'op'edia ,,sakartvelo" *[Encyclopedia "Georgia"].* t'. 2. tbilisi.

chubinashvili, n. (1961). kartuli leksik'oni *[Georgian dictionary].* tbilisi.

ch'umburidze, z. (1987). dedaena kartuli *[Mother tongue is Georgian].* tbilisi: gamomtsemloba ,,nak'aduli".

khutsishvili, n. (2007). ierusalimis jvris monast'ris mits'atmplobeloba sakartveloshi *[Land ownership of the Jerusalem Cross Monastery in Georgia].* tbilisi: gamomtsemloba ,,art'anuji".

javakhishvili, k. (2012). okros purtslit shemk'uli ishviati nivtebi t'akht'isdziris samarovnidan *[Rare objects decorated with gold leaf from the Takhtisdziri tomb].* Iberia-k'olkheti #8, 17-21.

japaridze, o. (1966). masalebi gvianbrinjaos khanis arkeologiisatvis shida kartlidan-masalebi sakartvelos mat'erialuri ist'oriisatvis.*[Materials for Late Bronze Age Archaeology from Shida Kartli - Materials for the Material History of Georgia].* I. tbilisi.

Gagoshidze, i. (2001). A Roayal Palatse in pirst Gentury Iberia Atstsording to the Archaelogitsal Material prom Dedoplis Gora,Georgia. Danish Intstitute at Athens.

Koberidze, M. (2020.). Por the Question op Lerning Lotsalization and Tsompozition op Toponimov The Prone Valley. Karadeniz.# 46., Ankara.

Kuftyn, V. A. (1949). Materyalyy k arheologyy Kolhydyy *[Materials for the archeology of Colchis].* II. Tvylysy.

Gagoshydze Ju. M. (1979). Samadlo *[Samadlo].* Tbylysy.

Natroev, A. (1909). Yverskyj monastyyr na Afone [*Iveron Monastery on Mount Athos].* Tyflys.